COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

სტრასბურგი, 2003 წლის 27 ნოემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

დასკვნა #5 (2003)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული სამართლისა და პრაქტიკის შესახებ

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მე-4 შეხვედრაზე, რომელიც 2003 წლის 24-28 ნოემბერს გაიმართა სტრასბურგში, საბჭომ განიხილა და გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო ცენტრის 2003 წლის 3 მაისით დათარიღებული ანგარიში „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დანიშვნასთან დაკავშირებით არსებული სამართალი და პრაქტიკა“.

2. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ მოიწონა და გაიზიარა ანგარიშში ასახული დასკნები და რეკომენდაციები. CCJE-ს მიაჩნია, რომ ანგარიშში ასახული დასკნები და რეკომენდაციები უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ო.1(2001) დასკვნაში ასახული რეკომენდაციების განხორციელებისთვის, რომლებიც ეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მათ შეუცვლელობას. CCJE-ი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი მხარს უჭერს ზემოთხსენებულ რეკომენდაციებს, კერძოდ კი:

(ა) მოსამართლეთა საერთაშორისო სასამართლოებში დანიშვნის პროცესთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, რომლებიც დასკვნის 56-ე პარაგრაფშია ასახული, რომლის შესაბამისადაც:

“CCJE-ი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემებისა და მოსამართლეებისთვის ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაკისრებული ვალდებულებები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროკავშირის ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე, უაღრესად მნიშვნელოვანია; შესაბამისად, მოსამართლეების დანიშვნისა და გადანიშვნის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ისინი ისევე კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ ამ ხელშეკრულებებს და პრინციპებს, როგორც ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს და ამ სისტემებით დადგენილ პრინციპებს იცნობენ. CCJE-ი ასევე მხარს უჭერს 37-ე და 45-ე პარაგრაფებში ნახსენები დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას საერთაშორისო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნასა და გადანიშვნაში. ევროპის საბჭო და მისი ინსტიტუტები იმ რწმენაზე დაფუძნებით არიან ჩამოყალიბებული, რომ საერთო ღირებულებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ცალკეული წევრი სახელმწიფოების ღირებულებები და ამ ფუნდამენტალური მიდგომის ფარგლებში უკვე მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული პრაქტიკულ დონეზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესი და ღირებულებები საფრთხეში დადგება, თუ ამ პრინციპების და მიდგომების საერთაშორისო დონეზე გაზიარება და დანერგვა არ იქნება მოთხოვნილი“.

37-ე და 45-ე პარაგრაფები მოითხოვენ მოსამართლეების საკმარისი რაოდენობისგან დაკომპლექტებული წარმომადგენლობითი, დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას ყველა სამოსამართლო პოზიციაზე დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებში.

(ბ) მოსამართლედ ყოფნის ვადასთან დაკავშირებით, კერძოდ კი 57-ე და 52-ე პარაგრაფებში შემდეგი მოსაზრებაა ასახული:

"სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლედ ყოფნის უფლებამოსილების ვადა გარანტირებული უნდა იყოს მოსამართლის პენსიაზე გასვლის სავალდებულო ასაკამდე, ან მოსამართლედ განსაზღვრული ვადით დანიშვნის შემთხვევაში, ამ ვადის ამოწურვამდე".

"CCJE-ს მიაჩნია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლედ დანიშვნა განსაზღვრული ვადით ხდება, მოსამართლე არ უნდა იყოს ხელახლა დანიშნული ამ თანამდებობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამას შესაბამისი პროცედურები ითვალისწინებს. კერძოდ:

i. თუ მოსამართლე დაინტერესებულია ხელახალ დანიშვნაში, მისი კანდიდატურა განხილული უნდა იყოს მოსამართლეთა დანიშვნაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ; და
ii. გადაწყვეტილება მოსამართლის ხელახალი დანიშვნის თაობაზე მიღებული უნდა იყოს სრულიად ობიექტურად, მოსამართლის დამსახურების მიხედვით და არა პოლიტიკური მოსაზრებების გამო".

3. მოსამართლის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დანიშვნის კრიტერიუმები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 21-ე მუხლშია ასახული, რომლის შესაბამისადაც:

„მოსამართლეებს უნდა ახასიათებდეთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და, ან უნდა ფლობდნენ მაღალი სამოსამართლო თანამადებობის დასაკავებლად აუცილებელ კვალიფიკაციას, ან იყვნენ აღარებული კომპეტენტურობის მქონე სამართლმცოდნეები".

4. CCJE, რომლის შემადგენლობაში ევროპის საბჭოს 45 წევრი ქვეყნის მოსამართლეები შედიან, ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს იგი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ისეთი მოსამართლეების დანიშვნას, რომლებიც არა მხოლოდ ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, არამედ საუკეთესო კანდიდატები არიან ასეთი პოზიციის დასაკავებლად. ამაზეა დამოკიდებული სასამართლოს და კონვენციის რეპუტაცია და სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი ნდობა.